დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხასურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები;

გიორგი მოდებაძე;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მაია ბერიანიძე;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია ლეკიაშვილი;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანჟელა აბულაძე;	უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამარა დარახველიძე;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თინათინ მარქარაშვილი;	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნანა შალამბერიძე;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
სვეტა გორგიშელი;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ვლადიმერ უშიკიშვილი;	სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან მეგრელიშვილი	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I.

შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხასურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243876025

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლევი
იურიდიული მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელი ფლევი
ფაქტობრივი მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელი ფლევი
საფოსტო ინდექსი	5700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2465?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	plevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 90 13 12

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 23 0001134522, 12.09. 2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 5 და 6 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ფლევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ფლევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ფლევი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 12 სექტემბრის MES 8 23 0001134522 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობის შეფასების მიზნით 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლაში. (მისამართი; ხაშურის რაიონი, სოფელი ფლევი). ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების ადგილზე წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ გაიცა კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრულად შეესაბამება**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილად შეესაბამება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილად შეესაბამება**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** • სკოლა აღჭურვოს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. **(16.11.2023 - 16.11.2024)** • სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს შესაბამისი სამედიცინო მედიკამენტებით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით. • სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან; **(16.11.2023 - 16.11.2024.)**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, რომლის საფუძველზე სკოლას ჰქონდა რეკომენდაცია, რომ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო ასისტენტის აყვანა. <u>სკოლას არ ჰყავდა ასისტენტი.</u> **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე.**

		09.11.2023-29.12.2023 წ.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საბაზო/საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
N 2.2.	სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.	სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და მისი შესაბამისი აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საბაზო და საშუალო საფეხურებზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი** აქტივობები; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის წარმართვა; • დაფინანსების მოძიება • ტენდერის გამოცხადება • ხელშეკრულების გაფორმება და მონიტორინგი მის შესრულებაზე **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. **სკოლას მიეცა რჩევა** დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.
3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	• პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ცალკე დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული. **სასურველია შეიქმნას** და დამტკიცდეს კონკრეტული დებულება, სადაც მკაფიოდ გაიწერება აღნიშნული მიმართულებით საჭირო მექანიზმები, ინდიკატორები და მკაფიო კრიტერიუმები, რომელსაც დაეყრდნობა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი.
3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	• **სკოლას მიეცა რჩევა, რომ** კონკრეტული აქტივობების, მეთოდების გამოყენებით მოახდინოს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმაში ასახოს ის კონკრეტული, რელევანტური აქტივობები/ღონისძიებები, რაც პერსონალის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	• **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლის ბაზაზე, მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგის კომპეტენციის გამოყენებით, მოხდეს პედაგოგების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მათი პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილება.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლას მიეცა რჩევა, დადგენილ ვადაში შეასრულოს ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან (N006334123. 08.09.2023 წ.) მიღებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. • სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ერთიანი მექანიზმი, რომელიც საერთო იქნება ზოგადად სკოლისათვის.
4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან

		მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან არსებული საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა; დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით.
4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**სკოლას მიეცა რჩევა**, რომ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მათი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას გასცა შემდეგი რჩევები; • დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას. • განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების

		გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა; • საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გაიწეროს შესაბამისი საკითხები/საკითხთა კლასტერები. • გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. • საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში განსაზღვრულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრონციპი. • სასურველია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. • კომპიუტერული ტქენოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ტექნოლოგიების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ გადაამუშაოს კურიკულუმი, შეიტანოს ცვლილებები, შექმნას მატრიცები, გამოიყენოს მრავალფელოვანი რესურსი, რათა მაქსიმალურად იყოს

		მორგებული კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. • ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ დაწყებითი კლასების ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი , საკითხები და შესაბამისი რესურსები.
N 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
N 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	• **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნის მასწავლებელს ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შესაფასებლად გამოიყენოს სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა

		დასკვნა გააკეთა მასწავლებელმა) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მისცა მოსწავლეს). • ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურისთვის სასურველია განმავითარებელი შეფასების ზოგადი ინდიკატორების საფუძველზე შეიმუშაონ განხორციელებულ პროექტზე მორგებული შეფასების რუბრიკები.
N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	**კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნის მასწავლებელს ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ ალგორითმის ცნების დამუშავებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი (მაგ: კოდირების სასწავლო პროგრამა codemonkey, სახელმძღვანელო ,, გამარჯობა,რუბი!“) რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას და სხვადასხვა უნარის განვითარებას, ხოლო ციფრული მოქალაქეობის ცნების დამუშავებისას „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“, რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

N 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსურ დავალებსთან ერთად დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. • ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრამ შეიმუშაოს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას, სწავლის-სწავლას.
N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	• **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გაიწეროს შესაბამისი საკითხები/საკითხთა კლასტერები. ასევე გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში განსაზღვრულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრონციპი.

		• სასურველია, თუკი საგან "ჩვენი საქართველოს" კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ერთ საკითხში არ მოხდება ექვსივე სამიზნე ცნების დამუშავება. • სასურველია **„მე და საზოგადოების"** კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. • **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.
N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	• ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა, რომ დოკუმენტში „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი" მოარგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	
N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** რომ დოკუმენტი **„სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას,** განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	• საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს **საზოგადოებრივი მეცნიერებების** ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ „სამოქალაქო განათლების “ მე- 7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. • საგან „გეოგრაფიასა“ და „სამოქალაქო განათლებაში“ განისაზღვროს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავების პრინციპი.

N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	• ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს **ესთეტიკური აღზრდის** ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საბაზო კლასების ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი, საკითხები და შესაბამისი რესურსები.
N 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
N 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსურ დავალებსთან ერთად სასურველია დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. • ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრა შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს

		შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას,სწავლის-სწავლას.
N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	• **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ „სამოქალაქო განათლების “ მე- 7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. • საგან „გეოგრაფიასა“ და „სამოქალაქო განათლებაში“ განისაზღვროს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავების პრინციპი. • **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.
N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	• ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა, რომ დოკუმენტში **„შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი“**

		მოარგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლ პროგრამა	*რჩევა*
N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	• ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა, რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	• **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია „გეოგრაფიის“ 10-ე და 11-ე კლასის

		კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. • ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრინციპი თემაში.
N 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურის კლასებში სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
N 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	• **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრა შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს

		შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას,სწავლის-სწავლას.
N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	• **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია „გეოგრაფიის“ 10-ე და 11-ე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. განისაზღვროს ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. • **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.
N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	• ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რჩევა, რომ დოკუმენტში „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი“ მოარგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს

		ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შეესაბამება“ და „მეტწილად შესაბამება“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია, რომელიც ჩაშენებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. თუმცა სკოლას სხავდასხვა დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა შინაარსის მისია, რომლის კონტენტი აცდენაშია დეკლარირებულ სკოლის მისიის ტექსტთან; სსგ-ს მიხედვით სკოლის მისია არის; ,,სასწავლო პროცესის მართვა აწარმოოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით; მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით; ანგარიშვალდებულებათა სისტემის მოქმედებით, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფით, რის შედეგადაც მოიპოვოს თანამედროვე, წარმატებული სკოლის სტატუსი.'' თვითშეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტისა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის (რომელშიც ასევე დეკლარირებულია სკოლის მისია) მიხედვით დასტურდება, რომ სოფელ ფლევის საჯარო სკოლა მის მიერ განსაზღვრული მისიით - ,, ზრუნავს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად და სულიერად ჯანსაღი, ევროპული ღირებულებების მატარებელი მოზარდის ფორმირებაზე.“ ამ მიმართულებით **სკოლას მიეცა რჩევა, რომ შექმნას ერთიანი დოკუმენტი სკოლის მისიის სახით.** **<u>სკოლას არა აქვს შემუშავებული ხედვის ამსახველი დოკუმენტი.</u>** სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ერთ-ერთ ამოცანად მითითებულია სკოლის ხედვის შემუშავება. ვიზიტის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული ხედვის ამსახველი დოკუმენტი. **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u>** რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულმა ჯგუფმა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობს, შექმნას ხედვის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც სკოლის მისიის რელევანტური იქნება და არ მოვა წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ დაასრულა სკოლის ხედვის ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები დანართების სახით;**

- ბრძანება N 2-63 სკოლის ფილოსოფიის - მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. (20.10.2023 წ.)

- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1. (01.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 (02.11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (03.11.2023 წ.)
- სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც - „შეესაბამება“.

2. ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესშია. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნება სკოლის, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სიციო-კულტურული განვითარებისათვის გააძლიერებს შემდეგ მიმართულებებს; ობიექტურობა, ურთიერთპატივისცემა, კოლეგიალობა და ტოლერანტობა. ვიზიტის პროცესში კი დადგინდა, რომ **<u>სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული ხედვა.</u> სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ დაასრულა სკოლის ხედვის ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები დანართების სახით;**

- ბრძანება N 2-63 სკოლის ფილოსოფიის - მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. (20.10.2023 წ.)
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1. (01.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 (02.11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (03.11.2023 წ.)
- სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც - „შეესაბამება“.

3. ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის პრაქტიკით დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია ნაწილობრივ შექმნილია

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ვიზიტის პროცესში გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს ხედვისა და ღირებულებების შემუავებას. სასურველია, რომ ბრძანებით დამტკიცებულმა ჯგუფმა, რომელიც მუშაობს სკოლის ხედვისა და ღირებულებების შექმნაზე, სხვადასხვა ინტერვენციებით და აქტივობებით უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა სკოლის ხედვა/ღირებულებების შემუშავების პროცესში, რათა გამოიკვეთოს სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან თანამშრომლობა და გათვალისწინებული იქნეს თითოეული რგოლის ინტერესი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ თითოეული რგოლის ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუძველზე მოხდეს სკოლის ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრა. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეკლარირებულია სკოლის მისია, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტი განხილულია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლის მისია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლის დირექციის წარმომადგენლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს, სადაც ასევე ატვირთულია სკოლის მისია. თუმცა, სკოლას არა აქვს ვებ/გვერდი. სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებისას ვერ აღმოვაჩინეთ შესაბამისი ინფორმაცია. **სკოლას არ აქვს შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვისა და ღირებულებების შემუშვებაზე - დაასრულებს ბრძანებით გათვალისწინებულ საქმიანობას, მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები გააზიაროს სხვადასხვა მექანიზმებით; ელექტრონული საკომუნიკაციო არხები (სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელი) გააჟღეროს სკოლაში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება სკოლის მიერ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ დაასრულა სკოლის ხედვის ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები დანართების სახით;**

- ბრძანება N 2-63 სკოლის ფილოსოფიის - მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. (20.10.2023 წ.)
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1. (01.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 (02.11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (03.11.2023 წ.)
- სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც - „შეესაბამება“.

5. სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს ვებ-გვერდი, თუმცა დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ოქმებით სკოლა ადასტურებს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს იცნობენ სკოლის მშობლები. გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ დაასრულა სკოლის ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები დანართების სახით;**

- ბრძანება N 2-63 სკოლის ფილოსოფიის - მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. (20.10.2023 წ.)
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1. (01.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 (02.11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (03.11.2023 წ.)
- სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც - „შეესაბამება“.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის“ სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). აღნიშნულის გათვალისწინებით **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საჯარო სკოლის წესდება.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სხდომის ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შეექმნა და ბრძანებით დაემტკიცებინა აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განისაზღრება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები და შეიმუშავა, დაამტკიცა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- ბრძანება N 2-52 (12.10.2023 წ.)
- სტრატეგიული განვითარებისა, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის მიხედვით განსაზღვრული იყო ისეთი ამოცანების შესრულება, რომელიც სკოლას უკვე ჰქონდა შესრულებული; 2.2. სკოლის შინაგანაწესის შემუშავება. 2.3. სკოლის წესდების შემუშავება. 1.5. სკოლის ეზოს შემოღობვა. 1.7. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური კაბინეტის მოწყობა..... წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. გამომდინარე იქედან, რომ მთელი რიგი ამოცანები, რომელიც სტრატეგიულ გეგმაშია მითითებული, სკოლას უკვე ფაქტობრივად უდასტურდება. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შეიმუშავებინა და სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარედგინა სკოლის მისიასთან თავსებადი მიზნებისა და მიზნების შესაბამისი ამოცანებით განსაზღვრული სტრატეგიული გეგმა, რომელიც რეალურად იქნებოდა სკოლის საჭიროებაზე ორიენტირებული.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები და შეიმუშავა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ასახავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2 (03.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (07. 11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (06.11.2023 წ.)
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (დანართი N 7)

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ინდიკატორის შეფასება და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

3. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა ის არ ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა იყო ზოგადი ხასიათის და არ ასახავდა სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან რელევანტური ამოცანებს. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მუშავდებოდა წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ სამოქმედო გეგმა შეემუშავებინა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან კორელაციაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ შეიმუშავა და შესაბამისი წესით დაამტკიცა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2 (03.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (07. 11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (06.11.2023 წ.)
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (დანართი N 7)
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. (დანართი N 6)

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

4. ვიზიტის პროცესში სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა სამოქმედო გეგმაში არ იყო განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორი. **სკოლას ვიზიტისას მიეცა რეკომენდაცია,** რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მიესადაგებინა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, განესაზღვრა სტრატგეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ შეიმუშავა და შესაბამისი წესით დაამტკიცა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2 (03.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (07. 11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (06.11.2023 წ.)
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (დანართი N 7)

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. (დანართი N 6)

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2 (03.11.2023 წ.)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (07. 11.2023 წ.)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (06.11.2023 წ.)
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (დანართი N 7)
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. (დანართი N 6)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>ვიზიტის პერიოდში არ იყო შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმებს.</u> ვიზიტის პროცესში ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ უახლოეს პერიოდში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავებს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები და შეიმუშავა, შესაბამისი წესით დაამტკიცა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- ბრძანება N 2-52 (12.10.2023 წ.)
- სტრატეგიული განვითარებისა, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

2. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები, რითაც შემოწმდებოდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი. მოცემულ ეტაპზე ინდიკატორი ვერ შეფასდება, ვინდაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. კალენდარული წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სტრატეგიული განვითარების ხედვა დაგეგმვის ეტაპიდან იწყება. დაგეგმვის ეტაპზევე ხდება გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმებისა და ორიენტირების გამოკვეთა. <u>სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.</u> სასურველია, რომ <u>მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას.</u> აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და შიდა სასკოლო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ბრძანება N 2-52 (12.10.2023 წ.)

- სტრატეგიული განვითარებისა, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის სტრუქტურული ერთეულების და პირთა ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების, დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების

შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ სკოლას სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები ასევე გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტებიდან ამოიღოს მსგავსი ჩანართი, რადგან სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილი არ არის სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობების გაწერა. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომით ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge-ზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესით, თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებითა და სკოლაში ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებით იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. თუმცა ასევე დასტურდება, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია** <u>დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.</u> აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა კონკურსის ჩატარების წესი. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება ,,სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომლითაც ხორციელდება სკოლის მასწავლებელთა/თანამშრომელთა შერჩევა და დასაქმება. სკოლა თანამშრომელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით. სკოლას პედაგოგების მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის დადგენილი სკოლაში დასაქმებული სხვა პირების (დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ცეცხლ-ფარეში, დარაჯი და სხვა) მიმართ. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაადგინოს სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულ ყველა პოზიციის მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეებში განთავსებულია შემდეგი სახის ცნობები; ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები და შეიმუშავა, შესაბამისი წესით დაამტკიცა შესაბამისი დოკუმენტი. (01.11 2023 - 08.11. 2023) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- ბრძანება N 2-70 - 08. 11.2023 წელი - სამუშაოთა აღწერილობის შესახებ.
- დანართი N 1 - სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის ზოგიერთი თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოვალეობების გარდა გათვალისწინებული სამუშაოთა აღწერილობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი."

4. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებთან გაფორმებული შორმითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი

ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლას მასწავლებელთან გაფორმებული აქვს სტატუსის შესატყვისი ხელშეკრულებები (უფროსი, მენტორი). სკოლის პედაგოგებისა და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში მართვის პოლიტიკა ხორციელდება თანამონაწილეობითი და გაზიარებული ლიდერობის სახით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობასა და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ პედაგოგები და მშობელები/ კანონიერი წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არის მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6. სკოლას ჰყავს მენტორი მასწავლებელი, რომლის პორტფოლიოს შესწავლით და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მასალებით დგინდება, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოცდილების გაზიარების და ამ პროცესს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. სკოლაში არსებობს საკუთარი პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებული აქტივობები, რომელსაც სამუშაო სივრცეში პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს. სკოლაში ხშირად ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიგნებებსაც პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს. სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები; მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის საშტატო განრიგი;
- განხორცილებეული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ცალკე დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული, მაგრამ ვიზიტის პროცესში ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა დაკვირვებისა შედეგად ახდენს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ბრძანებით მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდაჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. <u>თუმცა ცალკე დებულება დოკუმენტის სახით სკოლაში არ არსებობს.</u> **სკოლას მიეცა რჩევა, რომ** თუ კი ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი არსებობს, რომელსაც ევალება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა და მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება, **სასურველია შეიქმნას** და დამტკიცდეს კონკრეტული დებულება, სადაც მკაფიოდ გაიწერება აღნიშნული მიმართულებით საჭირო მექანიზმები, ინდიკატორები და მკაფიო კრიტერიუმები, რომელსაც დაეყრდნობა აღნიშნული ჯგუფი. სხვა შემთხვევაში, ბრძანებით დამკიტცებული აღნიშნული ჯგუფის არსებობა უბრალოდ ფიქციაა. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში შექმნილია პატივისცემისა და აღიარების ატმოსფერო. სკოლაში

დასაქმებულია მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგი, რომელიც წარმოდგენილი პორტფოლიოთი ადასტურებს კოლეგებთან განცორციელებულ საქმიანობას, რომელიც ეფუძნება გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმიდან და სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებიდან დგინდება, რომ პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, რასაც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი. თუმცა წარმოდგენილი სამომქედო გეგმა არ ადასტურებს რამიე აქტივობას, ან ღონისძიებას, რომელიც პერსონალის, პედაგოგების მხრიდან გამოვლენილი საჭიროებების შედეგად არის შედგენილი. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია,** <u>კონკრეტული აქტივობების, მეთოდების გამოყენებით მოახდინოს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმაში ასახოს ის კონკრეტული, რელევანტური აქტივობები/ღონისძიებები, რაც პერსონალის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული</u>. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ პერსონალის განვითარებას ანხორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. წარმოდგენილი სერთიფიკატებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინი, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია **ინდიკატორი შესაბამისად ჩაითვალოს.**

3. პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლაში დასაქმებულია მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგი. თუმცა მის მიერ წარმოდგენილ პორტფოლიოში არ დასტურდება სკოლის პედაგოგებთან პროფესიული მიმართულებით მუშაობა. **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>რომ სასურველია სკოლის ბაზაზე, მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგის კომპეტენციის გამოყენებით, მოხდეს პედაგოგების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მათი პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილება.</u> დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლას ცალკე პროცედურების სახით გაწერილი არა აქვს ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო ცალკეული საკითხები, თუმცა სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა.

კათედრის წევრები არიან ძალიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო, რითაც შეგვლიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არასდროს არ გაუჭირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ დირექცია ყველანაირად ცდილობს მათ მხარდაჭერას. სკოლამ წარმოადგინა პროექტი, რომლის მიზანიც გარემოს დაცვის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებული იყო. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ამ ინიციატივისათვის საჭირო იყო მატერიალური რესურსის ორგანიზება. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული ინიციატივისათვის მატერიალური რესურსი გამოყო სკოლამ. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პროექტის გეგმა/ფოტოსურათები
- პედაგოგების სერთიფიკატები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა, სკოლამ ვერც ვიზიტის პროცესში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. სკოლას ბრძანებით დამკიცებული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, თუმცა არ არსებობს კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს აღნიშნული ჯგუფის საქმიანობას. აღსაღნიშნავია, რომ აღნიშნული ჯგუფი 2020 წელს არის შექმნილი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ დაამტკიცოს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც დაარეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელიც მოიცავს <u>უწყვეტ ციკლს და გულისხმობს პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციების დასახვასა და შემდგომი საჭიროების დადგენისათვის მის შედეგებზე დაკვირვებას</u>.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. შეიმუშავა და შესაბამისი წესით დაამტკიცა შესაბამისი დოკუმენტი. (01.11 2023 - 08.11. 2023)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- ბრძანება N 2-71 - სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესახებ.

დანართი N 2 - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. ვიზიტის პროცესში წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. წარმოდგენილი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ მოწესრიგებულია შრომითი ურთიერთობი (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და სხვა). საქმისწარმოების პროცედურები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. იგი ითვალისწინებს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ მუხლებს, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ
- სამ. საბჭოს ოქმი დისციპ. კომიტეტის შექმნის შესახებ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაციის განმარტებით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით მართვის პროცესებთან დაკავშირებით სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, საქმისმწარმოებელი თავად განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებროივი პოზიციის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიეობი, რომლითაც დგინდება, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით. კრებების მეშვეობით სკოლა აწვდის ყველა სახის ინფორმაციას მშობლებს. სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, სადაც მშობელი ხელმოწერით ადასტურებს სკოლის შინაგანაწესის გაცნობას. პედაგოგების განმარტებით ხშირია სატელეფონო კომუნიკაცია მშობლებთან. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც პერიოდულად თავსდება საჭირო ინფორმაცია, გამოცემული ბრძანებები. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობელთა კრების ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიოები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური, თუმცა სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, (ბრძანება N 2-07, 2019. 26.02) რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლა არი არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. <u>სკოლას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით.</u> სკოლის შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, სართულებზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი, განთავსებულია ცეცხლ-მაქრები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება - დასკვნა ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან. (N006334123. 08.09.2023 წელი) დასკვნის საფუძველზე სკოლას აქვს რამდენიმე მნიშვნელობანი ხარვეზი და რეკომენდაცია, რომლის შესასრულებლად სკოლას მიცემული აქვს გონივრული ვადა. სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა - დასკვნა. (MIA 5 22 01470743. 02.06. 2022 წელი) აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილია <u>სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის სკოლას მიცემულ ვადად განსაზღვრული ჰქონდა 2022 წელი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და რეკომენდაციების შესასრულებლად.</u> სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. კერძოდ; სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას მოქმედი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან, რადგან არსებულ ვაკანსიაზე არ გამოცხადდა შესაბამისი

კვალიფიკაციის ექიმი. ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი წესის დაცვით. სამედიცინო კაბინეტის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტში არ არის პირველადი მოხმარების მედიკამენტები. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები იყოს სამედიცინო კაბინეტში. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა** დაიცვას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და შეიმუშაოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **სკოლა არი არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.** ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები.

1. შეიმუშავა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეათანხმა საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციებსის მართვის სამსახურთან. (12.10.2023 - 19.10.2023)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- საგანგებო გეგმა დანართი 2.
- წერილი საგანგებო გეგმის შეთანხმების თაობაზე MIA 4 23 03065730. 19.10.2023 წ.
- დირექტორის 12 ოქტომბრის ბრძანება 2-60. საგანგებო სიტუაციების გეგმის დამტკიცება

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.

- სკოლა აღჭურვოს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. **(16.11.2023 - 16.11.2024)**
- სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს შესაბამისი სამედიცინო მედიკამენტებით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

- სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან; **(16.11.2023 - 16.11.2024.)**

აღნიშნული მიმართულებით სკოლამ დაიწყო წარმოება და მტკიცებულებად წარმოადგინა; ა. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს წერილი ვიდეო სათვალთვალო სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით დანართი N 4. ბ. სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტაცია - დანართი N 5

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება."

2. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. მონაცემები ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. სკოლას არა აქვს დოკუმენტურად შემუშავებული პერსონალური დაცვის მექანიზმები სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ პერსონალური მონაცემები დაცულია კანონის შესაბამისად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

6. სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები, პერსონალურ დაცვის კანონის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების საკითხები. საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.
- ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882015349956 - 24.06.2015 წელი) რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია; ხაშურის რაიონი, სოფელი ფლევი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 69.05.55. 211. მიწის დაზუსტებული ფართობია; 8513.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი შენობა; ერთი განკუთვნილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, ხოლო მეორე კორპუსში განთავსებულია სპორტული დარბაზი. სასწავლო

კორპუსი ორსართულიანია. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი."**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი - (რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, დახურული და ღია სპორტული დარბაზი) თანაბრადაა ხელმიმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შესასვლელი და დახურული სპორტული დარბაზი, რომელიც თავის მხრივ ყველა მიმართულებით ადაპტირებულია და ამ სივრცეებით თანაბრად სარგებლობს სასკოლო საზოგადოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად. დახურული სპორტული დარბაზე სრულად ადაპტირებულია. სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სასწავლო პროცესის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებში წარმართვას სკოლის ძირითად და შერწყმულ შენობებში. სკოლის გარემო ადაპტირებულია, როგორც სსსმ მოსწავლისათვის, ასევე ტიპური განვითარების მოსწავლეებისათვის. საკონფერენციო ოთახში ბიბლიოთეკაში და სპორტულ დარბაზში განხორციელებული აქტივობები სასკოლო საზოგადოების სოციო-კულტურულ განვითარებას უწყობს ხელს.საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლის დახურული და ღია სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისთვის. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, ამისთვის სკოლა უქმნის მათ ყოველგვარ პირობას და უპირობო მხარდაჭერა აქვთ მასწავლებლების მხრიდანაც. **სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას არა აქვს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული უნდა იყოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და ბიბლიოთეკის წესის მიხედვით დამუშავებული წიგნადი ფონდი. სკოლას საშტატო ნუსხით დამტკიცებული ჰყავს ბიბლიოთეკარის შტატი. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი.**

სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები; გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მაგნიტები). არა აქვს ლაბორატორიისათვის განკუთვნილი სიცვრცე და შესაბამისი რესურსი - მულაჟები, რეაქტივები, მოდელები და სხვა. სკოლას არა აქვს საქტო დარბაზი.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. სკოლას შტატით დამკიცებული ჰქონდა ბიბლიოთეკარის თანამდებობა. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- დანართი 1. ბიბლიოთეკარის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი (16.11.2023 წ.)
- ბრძანება N 2-72 - ბიბლიოთეკარის დანიშვნის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

- ვიზუალური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის აქტი
- შენობა-ნაგებობის გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას ბალანსზე აყვანილი აქვს 19 კომპიუტერი, მათ შორის 8 ლეპტოპი, 2 პრინტერი, 2 პროექტორი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. <u>თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავდა, რომ აქვს ციფრული ტრანსპორფაციის ხედვა, თუმცა ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლას შემუშავებული არა აქვს ციფრული განვითარების გეგმა.</u>

სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია შეიქმნას ციფრული განვითარების გეგმა, რათა სკოლას ჩამოყალიბებული ჰქონდეს ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია ჩაატაროს თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლის განვითარებაზე. სკოლის ინცორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისთვის. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს, რათა სასკოლო საზოგადოებამ მიზნობრივად გამოიყენოს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა დროდადრო შეისწავლის და აფასებს ტექნოლგიების ფიზიკურ ინფასტრუქტურას, ახდენს საჭიროების იდენტიფიცირებას და ზრუნავს მის გადაჭრაზე (აღმოფხვრის ხარვეზს ან განაახლებს კომპიუტერულ ტექნიკას). სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრსტრუქტურული გამართულობის უზრინველყოფის პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია და ისტ. მასწავლებელი. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლას არა აქვს შემუშავევბული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსფრასტრუქტურის გამოყენების წესი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შექმნას ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადეობისათვის ციფრული ტექნოლოგიების სასკოლო დროს გამოყენებისა და სარგებლობის დრო/ შესაბამისი წესი, რაც გაზრდის მოსწავლეების სწავლა-სწავლების ხარისხს. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული რჩევა გათვალისწინებული ინქება უახლოეს მომავალში.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. (01.11. 2023 - 08.11. 2023) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

ბრძანება N 2-69 - ციფრული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია

- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. (დირექტორის ბრძანება N2/49 2022 წელი.) წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესით შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, იწარმოება და ინახება ბუღალტრული დოკუმენტაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის

სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. . სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია სრული ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი
- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი
- სკოლის შემოსული და გასული დიკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი
- ბრძანება N2/49 2022 წელი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/profile.php?id=100030502092220. ვიზიტის პროცესში სკოლას შევახსენეთ, რომ EMIS ის მიერ მოხდა ყველა სკოლისათვის ინტერნეტ სივრცეში სკოლის გვერდების გახსნა. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ უახლოს დროში გაეცნობოდა აღნიშნულ სიახლეს და გამოხატა მზაობა, რომ აითვისებდა სკოლისთვის გამოყენებულ ღრუბლოვან სივრცეს.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. (01.11. 2023 - 16.11. 2023) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- დანართი 1. ვებ-გვერდის მისამართი
- დანართი 2. დირექტორის ბრძანება N 2-73 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

2. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს და თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, გამართოს და აამუშაოს სკოლის ვებ-გვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ამჟამად <u>არ აქვს აქვს ვებ გვერდი</u> და იყენებს სოციალური ქსელის სხვადასხვა პლატფორმებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (https://www.facebook.com/profile.php?id=100030502092220&sk=about) გვერდს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. (01.11. 2023 - 16.11. 2023)
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- დანართი 1. ვებ-გვერდის მისამართი
- დანართი 2. დირექტორის ბრძანება N 2-73 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

5. ვიზიტის დროს სკოლას არ გააჩნდა ვებ-გვერდი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები.** (01.11. 2023 - 16.11. 2023)
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- დანართი 1. ვებ-გვერდის მისამართი
- დანართი 2. დირექტორის ბრძანება N 2-73 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ ადმინისტრაციის წევრებთან
- დაწესებულების სოციალური გვერდი
- დანართი 1. ვებ-გვერდის მისამართი

- დანართი 2. დირექტორის ბრძანება N 2-73 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სკოლას შედგენილი აქვს საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენდეს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს. სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საპროგნოზო ბიუჯეტი
- ფაქტობრივი ბიუჯეტი
- წლიური ანგარიში

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლაში შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების, უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ კლასის დამრიგებლების პორტფოლიოების ვიზიალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პირები. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრული არის სკოლის შინაგანაწესი. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

2. სკოლის ვიზიტისას წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს. სკოლის დირექციის

განმარტებით, რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან, რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დავაზე. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული არის სასკოლო საზოგადოებასთან; **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

3. სკოლას მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მასში გაწერილია, როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი აქვს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლია შიანაგაწესი
- მოსწავლეთა ქცევის წესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

1. სკოლის ვიზიტისას წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. სკოლა მოსწავლის მობილობას ახორციელებს ელექტრონულად eschool-ის საშუალებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ჩასარიცხ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც რეგისტრირდება სკოლაში და აისახება eschool-ის ელექტრონულ ბაზაში. გეგმაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

2. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილების შესაბამისობა, საფეხურის დაძლევა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

3. სკოლა არ ანხორციელებს ფასიან მომსახურებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხო ენას - ინგლისური და რუსული. (სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და პირობები სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული. სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ მეორე უცხოენის არჩევის საფუძველს. სკოლას გააჩნია მოსწავლეებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების სერვისი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

4. სკოლა პროგრამების, სხვადასხვა აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებებით. ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატიურად აწვდის მშობელსა და დაინტერესებულ პირს დამრიგებლების მეშვეობით. რეგულარუდა იმართება შეხვედრები სკოლამდელი ასაკის აღსაზრდებელების მშობლებთან და დაინტერესებულ პირებთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება პროგრამებს, სერვისებსა და სხვადასხვა აქტივობებს რეგულარულად განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, <u>ასევე სკოლის ვებ-გვერდზე,</u> ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება
- სკოლის შიანაგაწესი
- მოსწავლის ქცევის წესი
- კლასის დამრიგებლის გეგმა
- კლას საათის გეგმა
- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლის პირადი საქმე;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

1. სკოლამ ცაკლე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. თუმცა ვიზიტისას სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები, ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. კლასების ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივოებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>რომ შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ერთიანი მექანიზმი, რომელიც საერთო იქნება ზოგადად სკოლისათვის.</u> აღნიშნულის გათვალისწინებით **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

2. სკოლას არა აქვს შემუშავებული მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ პირველ კლასელებსა და ზოგადად სკოლაში გადმოსულ ახალ მოსწავლეს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

3. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა ხშირად ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, რის შემდეგაც გეგმავს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდამჭერ აქტივობებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პედაგოგები ხშირად აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს, სადაც ხაზგასმულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხარვეზები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლას არა აქვს შიდა რეგულაციით განსაზღვრული მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>რომ სასურველია შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან არსებული საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა; დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით.</u> აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

4. სკოლის დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვ. დამრიგებლების პორტფოლიოების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური,

ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. აღსანიშნავია მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელდა პროექტები: ქართველები სხვათა ომში“, ნატოსთან ინტეგრაცია - გლობალური მშვიდობა.“ სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, რომლის მიხერაც ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები და აქტივობები; ფილმების ჩვენება, დისკუსია, დებატები. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 2 ივნის სკოლაში ჩატარებული კინო ჩვენების და ჩვენების შემდგომ გამართული დისკუსიის დამადასტურებელი ფოტო მასალა. სკოლამ წარმოადგინა სამოქალაქო კლუბის წესდება, რომლის ფარგლებშიც კლუბის მიზანია არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში სხვადასხვა აქტივობებისა და ინოვაციური სასკოლო პროექტების განხორციელება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

6. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქალაქო კლუბის წესდება
- ფოტო-მასალა
- ინტერვიუ

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

1. სკოლის დირექციისა და პედაგოგების განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ კლასების დამრიგებლებს ამ მიმართულებით კონსულტირებას უწევენ საგნობრივი პედაგოგები, რომლებიც ერთობლივად ატარებენ საუბრებს, მართავენ დისკუსიას პროფესიის მიზნობრივად შერჩევასთან დაკავშირებით. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კლასები სხვადასხვა დროს მართვენ მიზნობრივ ექსკურსიებსა და ვიზიტებს სამხედრო აკადემიის წარმომადგენლებთან. მათი განმარტებით სკოლის მე-11 და მე-12 კლასელები შეხვდნენ გორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (ვიზიტი გორის სამხედრო ბაზაზე) აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

2. სკოლა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში მოსწავლეებს აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ინფორმირების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

3. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლას შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა. მოცემული ფაქტობრივი

გარემოების გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ სასურველია კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მათი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. სკოლა გამოთქვამს მზაობას, ჩაატაროს მიზნობრივი კვლევა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. გეგმავს, გაითვალისწინოს კვლევის შედეგები და მასზე დაყრდნობით განახორციელოს სხვადასხვა ეფექტური აქტივობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული ორიენტაციის power-point პრეზენტაცია
- კლასის დამრიგებლის გეგმა

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

1. სკოლა მრავალი წელია მუშაობს მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ დადასტურებული სპეციალური საგანმამათლებლო საჭიროება და აქვს შესაბამისი გამოცდილება. სკოლამ წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური

სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ადაპტირება სასწავლო პროცესში. სკოლაში დასაქმებულ სპეც. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი. სკოლის სამუშაო პრაქტიკა და შემუშავებული მექანიზმები შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. <u>ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე სკოლას აქვს რეკომენდაცია, რომ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელია ასისტენტის აყვანა, თუმცა სკოლას არა აქვს შესრულებული აღნიშნული რეკომენდაცია. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ვაკანსია ,,ჩავარდა“.</u> **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაითვალისწინოს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა** და რეკომენდაცია კონკრეტული სსსმ მოსწავლის მიმართ და გამოაცხადოს კონკურსი აღნიშნულ პოზიციაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე.** 09.11.2023 - 29.12.2023 წ. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი.“**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

2. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები პირველ სართულზე და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველუყოფილი რესურს-ოთახი, რომელიც შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა სრულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლამ მოაწყო ششم. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სასკოლო სივრცეში, ხაშურის მხარეთცოდნეობის მუზემსა და ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო გალერეაში. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეთა მშობლები, სპეც. მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები. ავტორიზაციის ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აწარმოებდნენ სსსმ მოსწავლეზე დაკვირვებას კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და იყვნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა
- გამოფენის ამსახველი ფოტო-მასალა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი,) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი ხასიათის მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე .

1. სკოლაში ფუნქციონირებს ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი. სერვისით უზრუნველყოფილი არიან სოფელ ნაცარგორიდან და სოფელ ტკოციდან მოსიარულე მოსწავლეები, სულ 16 მოსწავლე. მოსწავლეთა მომსახურებას აფინანსებს განათლების სამინისტრო, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას არ გაჩნია სხვა სახის არასავალდებულო მომსახურება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

2. სკოლა მოცემული ეტაპისთვის დამატებით მომსახურეობად სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტის სახით მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის მხრიდან მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლეთა კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც დასახელებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. დოკუმენტში აღწერილია შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები, მაგალითად: მასწავლებელი ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. საგნობირივი კათედრის თავჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. სკოლის დირექცია საგნობირივი კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას მონაწილე მხარეების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრაზე წარადგენენ თავიანთ ხედვებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; საგნობრივი კათედრების მუშაობა; სკოლის დირექციის მუშაობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** <u>რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამავე დოკუმენტში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად: მასწავლებელმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას). კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შექმნისას საგნობრივ კათედრაზე ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, აკვირდებიან სასწავლო პროცესს და სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვაში ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ე.წ. მშობლის ბარათი, რომლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- მშობლის მარათის ნიმუში;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების და საფეხურებრივი შედეგების ნაწილებისგან. წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია კონკრეტული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, სკოლას აქვს პრაქტიკა კონკრეტული მოსწავლეებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიყენონ, როგორც შუალედური შედეგები და დაგეგმონ საჭიროებაზე ორიენტირებული აქტივობები. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების განხორციელების რამდენიმე ანალიზი, რომელშიც იკითხება რომ მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებას და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო პროცესს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გაიწეროს შესაბამისი საკითხები/საკითხთა კლასტერები. ასევე გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში განსაზღვრულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრონციპი.

ასევე, სასურველია, თუკი საგან "ჩვენი საქართველოს" კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით გაწერლ კომპლექსური ბუნების დავალებებში ერთ საკითხში არ მოხდება ექვსივე სამიზნე ცნების დამუშავება.ასევე სასურველია „მე და საზოგადოების" კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება.

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ტექნოლოგიების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ გადაამუშაოს კურიკულუმი, შეიტანოს ცვლილებები, შექმნას მატრიცები, გამოიყენოს მრავალფელოვანი რესურსი, რათა მაქსიმალურად იყოს მორგებული კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ დაწყებითი კლასების ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი , საკითხები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის განვითარებაზე, რაც დასტურდება კურიკულუმში გათვალისწინებული საკითხებითა და კომპლექსური ბუნების დავალების იდეებით, რომელთა შინაარსიცა და აქტივობებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნებისყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში, იგეგმება და ხორციელდება პროექტები (მაგალითად: მე-5 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა "ყვავილნარიას დაგეგმარება", „პიცის განაწილება". მე-6 კლასის „დელფინარიუმის მოწყობა" მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა.) აღნიშნულ მსჯელობას

ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესახებ საუბარი, კომპლექსური დავალების პრეზენტაციები და პროექტები, ადასტურებს, რომ აქცენტი კეთდება მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი მტკიცებულებებისა (კომპლექსური დავალებების იდეები, პროექტების გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კათედრის სხდომის ოქმები) და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მასწავლებლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტირების შედეგად გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ დავალებების დაძლევის პროცესში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. დაწესებულების კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და თან ერთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს სსსმ მოსწავლისათვის. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები ფორმისა და პროდუქტის დიფერენცირებით. მათ ეძლევათ საშუალება თვითონ გადაწყვიტონ რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი.

ესთეტიკური აღზრდის <u>საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის

ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, იციან თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები. **კომპიუტერული** ტექნოლოგიების საგნის მასწავლებელს ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შესაფასებლად გამოიყენოს სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა მასწავლებელმა) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მისცა მოსწავლეს).

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითების კათედრამ ვერ წარმოადგინა წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების ვერც ერთი რუბრიკა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები;

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

5. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სწავლის პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე, მათ მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში აისახება გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ერთმანეთში აზიარებენ დაწყებითი საფეხურის კათედრაზე, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმით. სემესტრის და სასწავლო წლის დასასრულს, პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და, ზოგადად, წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (სხვადასხვა პროექტები, საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება (მაგალითად: კომპლექსური დავალება: „შოკოლადის ორცხობილის დამზადება“ „ზოოპარკი“ „შოკოლადის ფილის განაწილება,“, “ყვავილნარიას დაგეგმარება”; “ვარდების სანერგე”, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს შერჩეული აქვს მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი (Scratch, Code.org, School.emis.ge, Ms

Word, 3d paint, PowePoint , ვსწავლობთ თამაშით, გრაფიკული რედაქტორი Paint-ი, Office 365-ის ინსტრუმენტები და ა.შ.), **კომპიუტერული** ტექნოლოგიების საგნის მასწავლებელს ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ ალგორითმის ცნების დამუშავებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი (მაგ: კოდირების სასწავლო პროგრამა codemonkey, სახელმძღვანელო ,, გამარჯობა,რუბი!") რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას და სხვადასხვა უნარის განვითარებას, ხოლო ციფრული მოქალაქეობის ცნების დამუშავებისას „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის", რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრაზე არსებული კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგალითად: მე-5 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება „ყვავილების დაგეგმარება", რომელიც მიემართება შემდეგ ფუნქციურ

უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა). სკოლის დაწყებით საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსურ დავალებსთან ერთად სასურველია დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრა შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას,სწავლის-სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მიერ ცოდნის თეორიულ შესწავლაზე, უნარების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, აღნიშნულს ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კათედრაზე არსებული საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები, პროექტები, შეფასების რუბრიკები. დასახელებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას (მაგალითად: წარმოდგენილი პროექტი „მუსიკა და მათემატიკა“ - სადაც მოხდა საგანთა ინტეგრირება, თემა წილადი რიცხვები და მუსიკის გრძლიობები). სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- პროექტების გეგმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას (მაგალითად: მე-5 კლასის კომპლექსური დავალება „ყვავილნარის დაგეგმარება“ რომელშიც იკითხება მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში, დავალეების

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა). დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასისი კურიკულუმის ჩარჩოებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გაიწეროს შესაბამისი საკითხები/საკითხთა კლასტერები. ასევე გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე საგან „მე და საზოგადოების“ კურიკულუმში განსაზღვრულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრონციპი.

ასევე, სასურველია, თუკი საგან “ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით გაწერლ კომპლექსური ბუნების დავალებებში ერთ საკითხში არ მოხდება ნივე სამიზნე ცნების დამუშავება.ასევე სასურველია „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის ჩარჩოებში მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ შეკითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე (მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?)... ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურისთვის წარმოდგენილი პროექტების მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმებისა და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახლმძღანელოებისა თუ სხვადასხვა ტექტსების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს. რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგობრივ კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან **<u>მიეცა რჩევა,</u>** <u>რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს</u> სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით.

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითების კათედრამ ვერ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აგებული იყო მხოლოდ ერთ გრძელვადიან მიზანზე.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023

ნ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტისა და ვერიფიკაციის მექანიზნის ინსტრუმენტის მიხედვით მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ საგან „ჩვენი საქართველოსთვის“ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები,რომლებიც მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს. ასევე სკოლამ მოახდინოს ვერიფიკაციის მექანიზმის საკუთარ სკოლაზე მორგება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, მოსწავლის შეფასების პროცესი იყოს ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. მასწავლებელი შეფასებისას დაეყრდნოს შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობს. 1) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, 2) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და 3) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია ვერიფიკატორის (ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის/პირების) შერჩევის, დადგენის, მუშაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები, აღნიშნული მექანიზნის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **<u>რჩევა,</u>** <u>რომ დოკუმენტში „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი“ მოარგოს</u>

<u>სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, ინკლუზიური განათლების კონცეფციის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, რაც დასტურდება პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმებით. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს

შეფასების პროცესში მიეცეთ უერთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები. პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტულ პრინციპს, რომელთა გათვალისწინებითაც დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების იდეები, საკლასო თუ სასკოლო პროექტები (მაგალითად: კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“ , „ხიდების დაპროექტება“, „განძის რუკა“ „გასართობი პარკის დაგეგმარება“, „სამუხრუჭე მანძილი“, „მიუვალი ადგილის გაზომვა“, „სამომხმარებლო არითმეტიკა“). აღნიშნული დოკუმენტების შინაარსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების ძლიერ და გასავითარებელ მხარეებზე. მოსწავლეებისათვის მისაცემი დავალების პირობების შინაარსები მოსწავლეებს აძლევს საკუთარ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. თითოეული დასახელებული დოკუმენტის შინაარსებით განსაზღვრულია ერთი თუ სხვადასხვა კლასის მოსწავლეების წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ხელშემწყობი აქტივობები. მასწავლებლები ინტერვიუირების დროს აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები

უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;
- პედაგოგთა ურთიერთდასწრებების ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურუკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი კონკრეტული პოზიციის მქონე პირები. მასწავლებლებთან ინტერვიურების მიხევდით, სკოლაში მიმდინარებს საგაკვეთილო ცხრილის განხორციელების, მოსწავლეთა შეფასებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების მონიტორინგი. კათედრებზე პერმანენტულად განიხილება დაგეგმილი პროცესით მიღწეული შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მიზანს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება და მათი შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი ფუნქცია პროცესისა თუ მოსწავლეების შედეგების განსავითარებელი მხარეების დადგენა და გადაჭრის ადეკვატური გზების ძიება. საგნობრივი კათედრების ოქმებისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხევდით, სკოლა საჭიროებების დადგენას ახდენს როგორც კლასის ისე, სკოლის დონეზე. საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების დადგენის შემდეგ კი ცვლილებები შეაქვთ, როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლასო თუ სასკოლო აქტივობების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. აღნიშნული პროცესის გასახორციელებლად, სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადახსვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების თუ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს და მსჯელობენ რა შედეგები აქვთ შუალედურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მიმდინარეიობს სამიზნე ცნებებისა თუ საკითხების დამუშავების პროცესი. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი

შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

სკოლას წარმოდგენილი არ აქვს დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე სკოალს არ წარმოუდგენია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლა მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლისშეფასებისას გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. **დაწყებით**

<u>საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება არ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - დიაგნოსტიკური შეფასება, რაც დაეხმარება კათედრას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვასა და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ, რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელი მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ სასწავლო პროცესის შესაფასებისას გაითვალისწონონ მოსწავლეთა დიფერენცირებული მიდგომა,ხელი შეუწყონ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების

იდენტიფიცირებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

<u>დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის შეფასებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023

6. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კომპლექსური დავალებები;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ჰოლისტური ხასიათის შეფასებით, რა დროსაც ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველ ანგარიშებს, მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები, რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასების პროცესში სხვადასხვა ფაქტორზე ყურადღების გამახვილებით გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც დასახელებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. დოკუმენტში აღწერილია შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები, მაგალითად: მასწავლებელი ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. საგნობირივი კათედრის თავჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. სკოლის დირექცია საგნობირივი კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას მონაწილე მხარეების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.კათედრაზე წარადგენენ თავიანთ ხედვებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; საგნობრივი კათედრების მუშაობა; სკოლის დირექციის მუშაობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** <u>რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში</u>. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამავე დოკუმენტში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად: მასწავლებელმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას). კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შექმნისას საგნობრივ კათედრაზე ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, აკვირდებიან სასწავლო პროცესს და სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვაში ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას,

სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ე.წ. მშობლის ბარათი, რომლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- მშობლის მარათის ნიმუში;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების და საფეხურებრივი შედეგების ნაწილებისგან. წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია კონკრეტული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, სკოლას აქვს პრაქტიკა კონკრეტული მოსწავლეებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიყენონ, როგორც შუალედური შედეგები და დაგეგმონ საჭიროებაზე ორიენტირებული აქტივობები. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების განხორციელების რამდენიმე ანალიზი, რომელშიც იკითხება რომ მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებას და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო პროცესს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ „სამოქალაქო განათლების “ მე- 7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. საგან „გეოგრაფიასა“ და „სამოქალაქო განათლებაში“ განისაზღვროს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავების პრინციპი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის განვითარებაზე, რაც დასტურდება კურიკულუმში გათვალისწინებული საკითხებითა და კომპლექსური ბუნების დავალების იდეებით, რომელთა შინაარსიცა და აქტივობებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში:

კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნებისყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარებაზე (მაგალითად: მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“ და „ხიდების დაპროექტება“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის)., მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში, იგეგმება და ხორციელდება პროექტები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესახებ საუბარი, კომპლექსური დავალების პრეზენტაციები და პროექტები, ადასტურებს, რომ აქცენტი კეთდება მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე.

ესთეტიკური <u>აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საბაზო კლასების ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი , საკითხები და შესაბამისი რესურსები.</u>

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი მტკიცებულებებისა (კომპლექსური დავალებების იდეები, პროექტების გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კათედრის სხდომის ოქმები) და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მასწავლებლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო

პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტირების შედეგად გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ დავალებების დაძლევის პროცესში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. დაწესებულების კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და თან ერთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს სსსმ მოსწავლისათვის. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები ფორმისა და პროდუქტის დიფერენცირებით. მათ ეძლევათ საშუალება თვითონ გადაწყვიტონ რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი.

ესთეტიკური <u>აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.</u>

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. საბაზო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, იციან თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები.

საზოგადოებრივი <u>მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით</u>

გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კათედრამ ვერ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ დამატებითი დოკუმენდაციის სახით წარმოადგინა მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით, საგან „გეოგრაფიაში.“

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დანართი 1. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

დანართი 2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ისტორიაში

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

5. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სწავლის პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე, მათ მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში აისახება გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ერთმანეთში აზიარებენ საბაზო საფეხურის კათედრაზე, რაც დასტურდება საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმით. სემესტრის და სასწავლო წლის დასასრულს, პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და, ზოგადად, წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და მისი შესაბამისი აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები;

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის წარმართვა;
- დაფინანსების მოძიება
- ტენდერის გამოცხადება
- ხელშეკრულების გაფორმება და მონიტორინგი მის შესრულებაზე

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 10.11.2023 - 16.11.2023 **წ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება.“**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (სხვადასხვა პროექტები, საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება (მაგალითად: საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით. კერძოდ კომპლექსური დავალება „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“ , „ხიდების დაპროექტება“, „განძის რუკა“ „გასართობი პარკის დაგეგმარება“, „სამუხრუჭე მანძილი“, „მიუვალი ადგილის გაზომვა“, „სამომხმარებლო არითმეტიკა“).

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გამოყოფილია პატარა საკლასო ოთახი, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრები, განხორციელებული პროექტების ამსახველი კედლის პოსტერებია განთავსებული. ამის მიუხედავად მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ მიზნობრივად შერჩეული ელექტრონული რესურსები და ასევე მარტივი საშუალებებით მოსწავლეები ქმნიან მოდელებს. განხორციელებული პროექტი ,,წყალი სიცოცხლეა", პროექტის რეფლექსია და შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება საბაზო საფეხურის კათედრაზე არსებული კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლის საბაზო საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ კომპლექსურ დავალებსთან ერთად სასურველია დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს

ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრა შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას,სწავლის-სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მიერ ცოდნის თეორიულ შესწავლაზე, უნარების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, აღნიშნულს ადასტურებს საბაზო საფეხურის კათედრაზე არსებული საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები, პროექტები, შეფასების რუბრიკები. დასახელებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას (მაგალითად: მათემატიკა - გეოგრაფია ერთობლივი გაკვეთილი „მასშტაბზე“), სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- პროექტების გეგმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას (მაგალითად: მე-9 კლასის კომპლექსური დავალება „მიუწვდომელი ადგილის გაზომვა“ სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხბსა და საკვანძო კოთხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები). დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ „სამოქალაქო განათლების " მე- 7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. საგან „გეოგრაფიასა" და „სამოქალაქო განათლებაში" განისაზღვროს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავების პრინციპი.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ შეკითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე (მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?)... ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლის მიერ საბაზო საფეხურისთვის წარმოდგენილი პროექტების მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმებისა და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახლმძღანელოებისა თუ სხვადასხვა ტექტსების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს. რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგობრივ კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას,

მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი** ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს შერჩეული კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდური იქნება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კათედრამ ვერ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ დამატებითი დოკუმენდაციის სახით წარმოადგინა მხოლოდ ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით, საგან „გეოგრაფიაში.“</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტისა და ვერიფიკაციის მექანიზნის ინსტრუმენტის მიხედვით მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები

გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები,რომლებიც მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს. ასევე სკოლამ მოახდინოს ვერიფიკაციის მექანიზმის საკუთარ სკოლაზე მორგება.

<u>სკოლამ ვერ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სასწავლო/სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც ხელს უწყობს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დანართი 1. განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკა გეოგრაფიაში. დანართი 2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ისტორიაში. დანართი 3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, მოსწავლის შეფასების პროცესი იყოს ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. მასწავლებელი შეფასებისას დაეყრდნოს შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობს. 1) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, 2) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და 3) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია ვერიფიკატორის (ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის/პირების) შერჩევის, დადგენის, მუშაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები, აღნიშნული მექანიზნის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** <u>რომ დოკუმენტში „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი" მოარგოს</u>

<u>სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, ინკლუზიური განათლების კონცეფციის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, რაც დასტურდება პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმებით. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს

შეფასების პროცესში მიეცეთ უერთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები. პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტულ პრინციპს, რომელთა გათვალისწინებითაც დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების იდეები, საკლასო თუ სასკოლო პროექტები (მაგალითად: კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“ , „ხიდების დაპროექტება“, „განძის რუკა“ „გასართობი პარკის დაგეგმარება“, „სამუხრუჭე მანძილი“, „მიუვალი ადგილის გაზომვა“, „სამომხმარებლო არითმეტიკა“ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესისა და ჩართულობის გაზრდას). აღნიშნული დოკუმენტების შინაარსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების ძლიერ და გასავითარებელ მხარეებზე. მოსწავლეებისათვის მისაცემი დავალების პირობების შინაარსები მოსწავლეებს აძლევს საკუთარ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. თითოეული დასახელებული დოკუმენტის შინაარსებით განსაზღვრულია ერთი თუ სხვადასხვა კლასის მოსწავლეების წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ხელშემწყობი აქტივობები. მასწავლებლები ინტერვიუირების დროს აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები

უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;
- პედაგოგთა ურთიერთდასწრებების ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურუკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი კონკრეტული პოზიციის მქონე პირები. მასწავლებლებთან ინტერვიურების მიხევდით, სკოლაში მიმდინარებს საგაკვეთილო ცხრილის განხორციელების, მოსწავლეთა შეფასებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების მონიტორინგი. კათედრებზე პერმანენტულად განიხილება დაგეგმილი პროცესით მიღწეული შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მიზანს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება და მათი შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი ფუნქცია პროცესისა თუ მოსწავლეების შედეგების განსავითარებელი მხარეების დადგენა და გადაჭრის ადეკვატური გზების ძიება. საგნობრივი კათედრების ოქმებისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხევდით, სკოლა საჭიროებების დადგენას ახდენს როგორც კლასის ისე, სკოლის დონეზე. საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების დადგენის შემდეგ კი ცვლილებები შეაქვთ, როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლასო თუ სასკოლო აქტივობების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. აღნიშნული პროცესის გასახორციელებლად, სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადახსვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების თუ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს და მსჯელობენ რა შედეგები აქვთ შუალედურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მიმდინარეიობს სამიზნე ცნებებისა თუ საკითხების დამუშავების პროცესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ

წარმოადგინოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

<u>სკოლას წარმოდგენილი არ აქვს საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (გარდა ზემოაღნიშნული ერთი რუბრიკისა) ასევე სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დანართი 1. განმავითარებელი შეფასება ისტორიაში. დანართი 2. განმავითარებელი შეფასება. დანართი 3. მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. დანართი 4. შეფასების რუბრიკა (მოქალაქეობა). დანართი 5. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება."

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლა მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლისშეფასებისას გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

<u>საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება არ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; დანართი 1. განმსაზღვრელი შეფასება ისტორიაში. დანართი 2. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - დიაგნოსტიკური შეფასება, რაც დაეხმარება კათედრას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვასა და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ,

რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელი მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ სასწავლო პროცესის შესაფასებისას გაითვალისწონონ მოსწავლეთა დიფერენცირებული მიდგომა,ხელი შეუწყონ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

<u>საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის შეფასებისას არ არის გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“**

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კომპლექსური დავალებები;

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ჰოლისტური ხასიათის შეფასებით, რა დროსაც ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველ ანგარიშებს, მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები, რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასების პროცესში სხვადასხვა ფაქტორზე ყურადღების გამახვილებით გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი,

დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც დასახელებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. დოკუმენტში აღწერილია შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები, მაგალითად: მასწავლებელი ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. საგნობირივი კათედრის თავჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. სკოლის დირექცია საგნობირივი კათედრის

ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას მონაწილე მხარეების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.კათედრაზე წარადგენენ თავიანთ ხედვებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; საგნობრივი კათედრების მუშაობა; სკოლის დირექციის მუშაობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** <u>რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენასა და დაფიქსირებას, ასევე გამოცდილების გაზიარებას მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში</u>. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამავე დოკუმენტში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად: მასწავლებელმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას). კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შექმნისას საგნობრივ კათედრაზე ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, აკვირდებიან სასწავლო პროცესს და სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების

საფუძველზე გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვაში ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ე.წ. მშობლის ბარათი, რომლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- მშობლის მარათის ნიმუში;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების და საფეხურებრივი შედეგების ნაწილებისგან. წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია კონკრეტული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, სკოლას აქვს პრაქტიკა კონკრეტული მოსწავლეებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიყენონ, როგორც შუალედური შედეგები და დაგეგმონ საჭიროებაზე ორიენტირებული აქტივობები. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების განხორციელების რამდენიმე ანალიზი, რომელშიც იკითხება რომ მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებას და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო პროცესს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია „გეოგრაფიის“ 10-ე და 11-ე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში

გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშვების პრინციპი თემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის განვითარებაზე, რაც დასტურდება კურიკულუმში გათვალისწინებული საკითხებითა და კომპლექსური ბუნების დავალების იდეებით, რომელთა შინაარსიცა და აქტივობებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნებისყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში, იგეგმება და ხორციელდება პროექტები (მაგალითად: მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სამუხრუჭე მანძილის გამოთვლა“, „მრგვალი ფორმის შადრევნის აგება“ და სხვა მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა), აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესახებ საუბარი, კომპლექსური დავალების პრეზენტაციები და პროექტები, ადასტურებს, რომ აქცენტი კეთდება მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი მტკიცებულებებისა (კომპლექსური დავალებების იდეები, პროექტების გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კათედრის სხდომის ოქმები) და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი

ნაკლოვანებების დასაძლევად. მასწავლებლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტირების შედეგად გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ დავალებების დაძლევის პროცესში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. დაწესებულების კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და თან ერთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს სსსმ მოსწავლისათვის. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები ფორმისა და პროდუქტის დიფერენცირებით. მათ ეძლევათ საშუალება თვითონ გადაწყვიტონ რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი.

ესთეტიკური <u>აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურის კლასებში სასურველია დიფერენცირებული სწავლებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და სტრატეგიები საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. საშუალო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, იციან თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები. ხელოვნებისა და მუსიკის საშუალო საფეხურის საგნობრივ

კურიკულუმებში წარმოდგენილ პროექტებში იკითხება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე, ამასვე ადასტურებს პროექტში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელშიც გაწერილი ნაბიჯები დეკლარატიული, პროცედურული, და პირობისეული ცოდნის გამოყენებას ითვალისწინებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურისთვის სასურველია განმავითარებელი შეფასების ზოგადი ინდიკატორების საფუძველზე შეიმუშავოთ განხორციელებულ პროექტზე მორგებული შეფასების რუბრიკები.

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრამ ვერ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

5. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სწავლის პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე, მათ მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში აისახება გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ერთმანეთში აზიარებენ საშუალო საფეხურის კათედრაზე, რაც დასტურდება საშუალო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმით.

სემესტრის და სასწავლო წლის დასასრულს, პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და, ზოგადად, წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- პროექტული სწავლების კურიკულუმი მუსიკაში X კლასი;
- პროექტული სწავლების კურიკულუმი ხელოვნებაში X კლასი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და მისი შესაბამისი აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საშუალო საფეხურზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები;

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის წარმართვა;
- დაფინანსების მოძიება
- ტენდერის გამოცხადება
- ხელშეკრულების გაფორმება და მონიტორინგი მის შესრულებაზე

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (სხვადასხვა პროექტები, საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა

მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება (მაგალითად: „სამუხრუჭემანძილის გამოთვლა“, „შადრევნის დაპროექტება“ „რიცხვითი სიმრავლეების ურთიერთკავშირის კვლევა“ „მონაცემთა ინტერპრეტირება, კვლევის დაგეგმვით“ „ფინანსური გადაწყვეტილება“ ეს კომპლექსურები დაგეგმილია მე-10 მე-11 კლასებში, ხოლო მე-12 მკლასში კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი. მე-12 კლასში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუში , სადაც ნათლად ჩანს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა).

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გამოყოფილია პატარა საკლასო ოთახი, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრები , განხორციელებული პროექტების ამსახველი კედლის პოსტერებია განთავსებული. ამის მიუხედავად მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ მიზნობრივად შერჩეული ელექტრონული რესურსები და ასევე მარტივი საშუალებებით მოსწავლეები ქმნიან მოდელებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება საშუალო საფეხურის კათედრაზე არსებული კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს საშუალო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც

მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლის საშუალო საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია დაინერგოს მატრიცის წარმოება, რომლის ეტაპები მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესში მეტაგოკნიტური სტრატეგიების ორგანიზებაში. ამავე მიზნით კარგი იქნება თუ კათედრა შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითრებას,სწავლის-სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მიერ ცოდნის თეორიულ შესწავლაზე, უნარების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, აღნიშნულს ადასტურებს საშუალო საფეხურის კათედრაზე არსებული საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები, პროექტები, შეფასების რუბრიკები. დასახელებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას. სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- პროექტების გეგმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას (მაგალითად: მე-11 კლასის კომპლექსური დავალება, შადრევნის დაპროექტება“: სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხბსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი თვითშეფასების რუბრიკები), დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად

შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია „გეოგრაფიის“ 10-ე და 11-ე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება. ასევე განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. განისაზღვროს ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სასურველია მუსიკის კურიკულუმიც ჩარჩოში შეტანილი ქვეცნებები დაკონკრეტდეს თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ შეკითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე (მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?)... ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლის მიერ საშუალო საფეხურისთვის წარმოდგენილი პროექტების მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმებისა და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახლმძღანელოებისა თუ სხვადასხვა ტექტსების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს. რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგობრივ კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინოს შერჩეული კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდური იქნება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტისა და ვერიფიკაციის მექანიზნის ინსტრუმენტის მიხედვით მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები,რომლებიც მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს. ასევე სკოლამ მოახდინოს ვერიფიკაციის მექანიზმის საკუთარ სკოლაზე მორგება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, მოსწავლის შეფასების პროცესი იყოს ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. მასწავლებელი შეფასებისას დაეყრდნოს შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობს. 1) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, 2) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და 3) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია ვერიფიკატორის (ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის/პირების) შერჩევის, დადგენის, მუშაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები, აღნიშნული მექანიზნის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** რომ დოკუმენტში „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი“ მოარგოს სკოლის სპეციფიკას, განისაზღვროს ვერიფიკაციისთვის ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების ვადები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, ინკლუზიური განათლების კონცეფციის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, რაც დასტურდება პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმებით. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შეფასების პროცესში მიეცეთ უერთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები. პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტულ პრინციპს, რომელთა გათვალისწინებითაც დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების იდეები, საკლასო თუ სასკოლო პროექტები (მაგალითად: „სამუხრუჭე მანძილის გამოთვლა, პერიოდული მოვლენების კვლევა, საცხობის მაქსიმალური მოგება, პირამიდის ფორმის სასაჩუქრე კონტეინერები“... უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას). აღნიშნული დოკუმენტების შინაარსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების ძლიერ და გასავითარებელ მხარეებზე. მოსწავლეებისათვის მისაცემი დავალების პირობების შინაარსები

მოსწავლეებს აძლევს საკუთარ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. თითოეული დასახელებული დოკუმენტის შინაარსებით განსაზღვრულია ერთი თუ სხვადასხვა კლასის მოსწავლეების წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ხელშემწყობი აქტივობები. მასწავლებლები ინტერვიუირების დროს აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას.

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრამ ვერ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები; საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები

უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;
- პედაგოგთა ურთიერთდასწრებების ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურუკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი კონკრეტული პოზიციის მქონე პირები. მასწავლებლებთან ინტერვიურების მიხევდით, სკოლაში მიმდინარებს საგაკვეთილო ცხრილის განხორციელების, მოსწავლეთა შეფასებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების მონიტორინგი. კათედრებზე პერმანენტულად განიხილება დაგეგმილი პროცესით მიღწეული შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მიზანს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება და მათი შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი ფუნქცია პროცესისა თუ მოსწავლეების შედეგების განსავითარებელი მხარეების დადგენა და გადაჭრის ადეკვატური გზების ძიება. საგნობრივი კათედრების ოქმებისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხევდით, სკოლა საჭიროებების დადგენას ახდენს როგორც კლასის ისე, სკოლის დონეზე. საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების დადგენის შემდეგ კი ცვლილებები შეაქვთ, როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლასო თუ სასკოლო აქტივობების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. აღნიშნული პროცესის გასახორციელებლად, სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადახსვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების თუ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს და მსჯელობენ რა შედეგები აქვთ შუალედურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მიმდინარეიობს სამიზნე ცნებებისა თუ საკითხების დამუშავების პროცესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ

წარმოადგინოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და მოახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

<u>სკოლას წარმოდგენილი არ აქვს საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (გარდა ზემოაღნიშნული ერთი რუბრიკისა) ასევე სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 ნ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლა მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლისშეფასებისას

გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

<u>საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება არ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - დიაგნოსტიკური შეფასება, რაც დაეხმარება კათედრას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვასა და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ, რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელი მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ სკოლამ სასწავლო პროცესის შესაფასებისას გაითვალისწონონ მოსწავლეთა დიფერენცირებული

მიდგომა,ხელი შეუწყონ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

<u>საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის შეფასებისას არ არის გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც განახორციელა შესაბამისი აქტივობები. 10.11.2023 - 16.11.2023 წ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კომპლექსური დავალებები;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ჰოლისტური ხასიათის შეფასებით, რა დროსაც ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველ ანგარიშებს, მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები, რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასების პროცესში სხვადასხვა ფაქტორზე ყურადღების გამახვილებით გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია

გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზ. ჭანტურია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გიორგი მოდებაძე;
მაია ბერიანიძე;

მაია ბერიანიძე;
მაია ლეკიაშვილი;

ანჟელა აბულაძე;

ლამარა დარახველიძე;
თინათინ მარქარაშვილი;

ნანა შალამბერიძე
სვეტა გორგიშელი;

ვლადიმერ უშიკიშვილი;

ქეთევან მეგრელიშვილი

27.11 2023 წელი
თარიღი